



Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

SARL du Parc d'Activities de Blotzheim v France

საჩივარი №72377/01

2006 წელი, 11 ივლისი

ფაქტები


მომჩივნები, Parc d'activités de Blotzheim (PAB) – შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და Haselaecker – არაკომერციული გაერთიანება, ორივე დაფუძნებული იყო საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მათი ოფისი რეგისტრირებული იყო ბლოცაიმში (საფრანგეთი).

ა. საქმის გარემოებები

მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

მულჰაუსის მადარობის განვითარების სქემა, რომელიც დამტკიცდა 1977 წლის 15 სექტემბერს, ითვალისწინებდა სამრეწველო ტერიტორიის აშენებას





EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME


ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის სიახლოვეს (რომლის შენობაც მდებარეობს საფრანგეთში, ბლოცაიმის, ჰესინგის, ბურგფელდენისა და სენ-ლუისის მუნიციპალიტეტებში).

1989 წლის 27 აპრილს და 3 მაისს, PAB-ის მმართველმა დირექტორმა (რომლის მემორანდუმი და წესდება შედგენილია ნოტარიუსის მიერ, 1989 წლის 8 ივნისს), ბლოცაიმის მერს წარუდგინა პროექტი სამრეწველო, ბიზნეს და მომსახურების სექტორის საქმიანობის განვითარების შესახებ მუნიციპალიტეტის საზღვრებში, ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე. 1989 წლის 16 მაისს, ბლოცაიმის საქალაქო საბჭომ მისცა მერს თანხმობა პროექტის ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე მუნიციპალური მიწის PAB-ისთვის მიყიდვის შესახებ. მან ასევე, მისცა თანხმობა სხვა საკითხებთან ერთად, რომ მუნიციპალიტეტმა აიღოს ვალდებულება უარი თქვას უპირატესობის უფლებაზე იმ მიწაზე, რომლის გამოყენებასაც კომპანია აპირებდა, რომ შეექმნა სპეციალური დაგეგმარების ტერიტორია და დაეწყო მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გეგმის გადასინჯვის პროცედურა.

1989 წლის 30 ივნისს, სანოტარო აქტებით PAB-მა მუნიციპალიტეტისგან ბლოცაიმში სხვადასხვა მიწის ნაკვეთი შეიძინა.

1990 წლის 11 იანვარს, საქალაქო საბჭომ გადაწყვიტა გადაედგა ნაბიჯები სპეციალური დაგეგმარების ტერიტორიის შესაქმნელად, რომ ამოქმედებულიყო სათანადო პროცედურა და შესაბამისად, გადახედილიყო მიწათსარგებლობის გეგმა. 1990 წლის 28 თებერვალს გაიმართა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა სპეციალური დაგეგმარების ტერიტორიის შექმნის წინადადების განხილვისათვის. 1990 წლის 2 მარტს, საკონსულტაციო პროცესის შედეგების გათვალისწინებით, ქალაქის საბჭომ ოფიციალურად გადაწყვიტა ამ ტერიტორიის შექმნა.

ამასობაში, 1989 წლის 4 ივლისს, ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის დირექტორთა საბჭომ კონფიდენციალურად მიიღო გენერალური განვითარების გეგმა, სადაც შემოთავაზებული იყო დამატებითი მიწის შეძენა და მესამე ასაფრენი ბილიკის აშენება იმავე ადგილზე, რომლის გამოყენებასაც აპირებდნენ ბლოცაიმის ინდუსტრიული ქონების დეველოპერები.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

1991 წლის 8 სექტემბერს, PAB-მა აეროპორტის დირექტორატმა საბჭოს წარუდგინა სამშენებლო პროექტი. საბჭოსადმი მიწერილ, 1989 წლის 1-ელი დეკემბრით დათარიღებულ წერილში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტი ხელს შეუშლიდა აეროპორტის საქმიანობის განვითარებას.


1990 წლის 17 აპრილს, დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა გადაედგა აუცილებელი ნაბიჯები მიწის ნაკვეთის გამოყოფისთვის, რომელიც მას სჭირდებოდა განვითარების გეგმის განსახორციელებლად. 1989 წლის 6 დეკემბერს, მან გადაწყვიტა მიემართა ოტ-რაინის რაიონისთვის, რათა დაეწყო პროცედურა, რომლითაც განვითარების გეგმა შეიძლებოდა აღნიშნულიყო როგორც „საზოგადოებრივი ინტერესების პროექტი.“

1990 წლის 17 მაისის ბრძანებით ოტ-რაინის პრეფექტმა ჩამოაყალიბა განვითარების გეგმა, როგორც „საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პროექტი“ და ოფიციალური ცნობა მიაწოდა ბლოცაიმის მუნიციპალიტეტს, რომ გადაეხედა მიწათსარგებლობის გეგმისათვის და გაეთვალისწინებინა აღნიშნული პროექტი. ვინაიდან ბლოცაიმის მერმა არ უპასუხა მას კანონით დადგენილ ვადაში და 1990 წლის 11 ივლისს, პრეფექტმა გასცა მიწათსარგებლობის გეგმის გადასინჯვის შესახებ ბრძანება.

მას შემდეგ, რაც ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის დირექტორთა საბჭომ ცვლილებები შეიტანა მის განვითარების გეგმაში და სამწლიანი ვადა ამოიწურა ზემოაღნიშნული ბრძანებების დადასტურების გარეშე, ოტ-რაინის პრეფექტმა შემდგომი ბრძანებები გასცა – 1993 წლის 14 მარტს (განსაზღვრა გეგმა, როგორც „საზოგადოებრივი ინტერესების პროექტი“ და მერისთვის ოფიციალური შეტყობინება გაგზავნა) და 1993 წლის 26 ოქტომბერს (მიწის გამოყენების გეგმის გადახედვის საჭიროებისათვის).

ბლოცაიმის მუნიციპალიტეტმა, PAB-მა და Haselaecker-მა მიმართეს სტრასბურგის ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელმაც 1995 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გააუქმა ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის დირექტორთა საბჭოს 1989 წლის 6 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება და პრეფექტის 1990 წლის 17 და 11 მაისის და 1993 წლის 14 მაისის და 26 ოქტომბრის ბრძანებები.

ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის მიერ შეტანილ პირველად პრეტენზიასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა დასაშვებობას, სტრასბურგის სასამართლომ




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

დაადგინა, რომ PAB-ს ჰქონდა ინტერესი, გაეუქმებინა ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის დირექტორთა საბჭოს მიერ 1989 წლის 6 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება და შემდგომი ბრძანებები, იმ საფუძველით, რომ ბლოკადის მუნიციპალიტეტი ამ თარიღამდე დაჰპირდა მას მოცემული მიწის მიყიდვას.

ასევე სასამართლომ შენიშნა, რომ ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტი 1949 წლის 4 ივლისს ბერნში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე იმართებოდა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა ორი ასაფრენი ბილიკის მშენებლობას და 536 ჰა მიწის ექსპროპრიაციას, ასევე ხელშეკრულების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტის საბჭო უფლებამოსილი იყო, შეემუშავებინა აეროპორტის გაფართოების გეგმები, მისი უფლებამოსილების განხორციელება ექვემდებარებოდა ხელშეკრულებაში დადგენილ საზღვრებს, როგორც აეროპორტის ინფრასტრუქტურის, ისე ექსპროპრიაციის მიწის მაქსიმალური ფართობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეში აეროპორტის გამგეობის მიერ მიღებული განვითარების გეგმა აღემატებოდა ამ საზღვრებს, სასამართლომ გააუქმა სადავო გადაწყვეტილებები.

1996 წლის 25 იანვარს, ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ეთხოვა დაინტერესებული მთავრობებისთვის, რომ გადაეხედათ 1949 წლის 4 ივლისის საფრანგეთ-შვეიცარიის ხელშეკრულებაზე თანდართული პირობები, ამ ხელშეკრულების მე-19 მუხლის შესაბამისად და რომ გაეზარდათ მაქსიმალური ფართობი, რომელიც შეიძლება აეროპორტის გამოყენებისთვის 536 ჰა-დან 850 ჰა-მდე, მესამე ასაფრენი ბილიკის მშენებლობისათვის.

ამ წინადადებას დაეთანხმნენ საფრანგეთის მთავრობა და შვეიცარიის ფედერალური საბჭო, ნოტების გაცვლის გზით მოხდა შეთანხმება და იგი ძალაში შევიდა 1996 წლის 29 თებერვალს. 1996 წელის 13 მაისს, საფრანგეთის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება შეთანხმების გამოქვეყნების შესახებ.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

1996 წლის 12 ივლისს, მომჩივანმა კომპანიებმა მიმართეს Conseil d'Etat-ს¹ ბრძანებულების ანულისების მოთხოვნით. იმის გათვალისწინებით, რომ 1949 წლის 4 ივლისის საფრანგეთი-შვეიცარიის ხელშეკრულების რატიფიკაცია ძალაში შევიდა 1950 წლის 1-ელი აგვისტოს კანონით, მათ განაცხადეს, რომ კონსტიტუციის 53-ე მუხლის შესაბამისად (რომელიც ითვალისწინებს, რომ „... ხელშეკრულებები ან შეთანხმებები ... რომლებიც სახელმწიფოს აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას ... შეიძლება რატიფიცირებული ან დამტკიცებული იყოს მხოლოდ პარლამენტის მიერ“) და იმ პრინციპით, რომ კანონმდებლობის ამოქმედებისა და შესწორების შეტანის უფლებამოსილება ენიჭება იმავე ხელისუფლების ორგანოს, ასეთი ცვლილება მოითხოვს საკანონმდებლო ორგანოს ჩარევას და არ შეიძლება განხორციელდეს ნოტების გაცვლის გამარტივებული მეთოდით. ასევე, მათ დასძინეს, რომ განსახილველი ბრძანებულება და მასში გამოქვეყნებული შეთანხმება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მე-19 მუხლს (რომლის მიხედვითაც, „შესწორებების შეტანა წესდებასა და მის პირობებში, საბჭოს წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, შეიძლება განხორციელდეს ორ მთავრობას შორის შეთანხმებით“), რადგან ისინი სცილდება შესწორების შეტანის გამარტივებული პროცედურის მიზანს. კომპანიებმა ასევე განაცხადეს, რომ დადგენილებაში არასწორად იყო ნათქვამი, რომ ხელშეკრულებაში დართული პირობების მე-9 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ 536 ჰა მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეესაბამება მაქსიმალურ ფართობს, რომლის ექსპროპრიაციაც შეიძლებოდა, არ იყო შეძენილი საფრანგეთის მთავრობის მიერ. და ბოლოს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოცემული შეთანხმება ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულების ფინანსურ პუნქტებს.

Conseil d'Etat-მა არ დააკმაყოფილა განაცხადი 1998 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით. მან აღნიშნა, რომ 1950 წლის 1-ელი აგვისტოს კანონით პარლამენტმა დაამტკიცა 1949 წლის 4 ივლისის საფრანგეთი-შვეიცარიის ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც თავიდანვე ითვალისწინებდა

¹ საფრანგეთში, Conseil d'Etat არის სამთავრობო ორგანო, რომელიც მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ხელისუფლების იურიდიული მრჩეველი და როგორც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო, რომელიც საფრანგეთის სასამართლო სისტემის ორი შტოდან ერთ-ერთია (მთარგმნელის კომენტარი).




შესაძლებლობას, რომ „ამ კანონით ნებადართული იყო დამატებითი სტრუქტურების ან ობიექტების განვითარებასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც შექმნილია არსებული სტრუქტურების ან ობიექტების არაადეკვატურობის კომპენსაციის მიზნით.“ ასე რომ, ადგილი არ ჰქონია კონსტიტუციის 53-ე მუხლის დარღვევას. რაც შეეხება მომჩივანი კომპანიების სხვა არგუმენტებს, Conseil d'Etat -მა დაადგინა:

„მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი კომპანიები აცხადებენ, რომ 12 და 29 თებერვლის შეთანხმებას უფრო ფართო მიზანი აქვს, ვიდრე 1949 წლის 4 ივლისის ხელშეკრულებაზე თანდართული პირობების შესწორების შემუშავება, შესაბამისად, არ შეიძლება დადებულიყო ხელშეკრულების მე-19 მუხლით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურით. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების გზების არჩევანი, განუყოფელია დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვისგან და შესაბამისად, არ შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ სასამართლოებში. საკუთარი სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებში, Conseil d'Etat-ის ამოცანა არ არის, განიხილოს საფრანგეთის მთავრობისა და შვეიცარიის ფედერალური საბჭოს შეფასება იმის შესახებ, დაკმაყოფილდა თუ არა მოთხოვნა დეტალური აღწერილობისა და შეფასების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებაზე თანდართული პირობების მე-9 პუნქტში და იყო თუ არა საჭირო ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის გაფართოება. დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა კომპანიებმა გააკრიტიკეს სადავო ბრძანებულებით გამოქვეყნებული გაცვლილი ნოტების შინაარსი 1949 წლის 4 ივლისის ხელშეკრულების დებულებებთან დაკავშირებით, Conseil d'Etat-ის უფლებამოსილება არ არის, გამოიტანოს გადაწყვეტილება საერთაშორისო ვალდებულებების მართებულობის შესახებ, სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებაში.

სამართალი

ა. საჩივრები კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით

6. მომჩივანი კომპანიები დავობდნენ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით, იმის საფუძველზე, რომ Conseil d'Etat-ის წინაშე წარმოებისას, მათ არ




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

გაეგზავნათ საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ შეტანილი საჩივრების პირველი ნაკრების ასლი და არ მოუღიათ მისი მეორე სარჩელის ასლი 1998 წლის 4 დეკემბრამდე, თუმცა, საქმე განხილვისთვის 1998 წლის 11 დეკემბერს იყო გადაცემული. იმავე დებულებაზე დაყრდნობით, ისინი დავობდნენ, რომ მთავრობის კომისიის წარდგინებები Conseil d'Etat-ის წინაშე, სხდომამდე არ იყო მათთვის ცნობილი და მათ ვერ შეძლეს მათზე პასუხის გაცემა. მათ ასევე განაცხადეს, რომ ის ფაქტი, რომ მომხსენებელი მოსამართლის ანგარიში და გადაწყვეტილების პროექტი ხელმისაწვდომი იყო მთავრობის კომისიისთვის, მაგრამ არა მათთვის, არღვევდა სამართლიანი მოსმენისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს. ისინი ასევე, დავობდნენ, რომ Conseil d'Etat-მა გამოიყენა „პრეროგატიული აქტის“ დოქტრინა მათ საქმეში და იურისდიქციის არქონის დასახელების საფუძველზე უარი თქვა განეხილა საფრანგეთის მიერ აღებული კონკრეტული საერთაშორისო ვალდებულების ვალიდურობა სხვა საერთაშორისო ვალდებულებასთან მიმართებაში. რაც ნიშნავდა, რომ მომჩივნების განცხადებით, Conseil d'Etat არ იყო სრული იურისდიქციის მქონე სასამართლო სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობით და ამით ირღვეოდა მათი უფლება „სასამართლოზე.“ ისინი ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს რომ:

„მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევისას, ყველას აქვს სასამართლოს მიერ ...საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება...”

7. როგორც მათი მთავარი არგუმენტი, მთავრობამ გააპროტესტა, რომ საჩივრის ეს ნაწილი *ratione materiae* შეუთავსებელი იყო კონვენციის დებულებებთან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ გამოიყენებოდა განსახილველ სამართალწარმოებაზე, რადგან მომჩივანი კომპანიების საჩივრების ფარგლების გათვალისწინებით, Conseil d'Etat-ს არ უნდა „გამოერკვია“ მათი „სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.“ მათ წარმოადგინეს შემდეგი ორი არგუმენტი.

უპირველეს ყოვლისა, განსახილველი სამართალწარმოება არ შეიძლებოდა პირდაპირ შეხებოდა რომელიმე მომჩივანი კომპანიის სამოქალაქო უფლებებს. ისინი შეიქმნა მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაეუქმებინათ ბრძანებულება, რომელიც აქვეყნებდა




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

შეთანხმებას ორ მთავრობას შორის, ნოტების გაცვლის სახით. შეთანხმება არ ითვალისწინებდა ვალდებულებებს სხვა ვინმეს მიმართ, გარდა ხელშემკვრელი სახელმწიფოებისა და არ შეიცავდა რაიმე პუნქტს, რომელიც გავლენას მოახდენდა მომჩივანი კომპანიების ან სხვა მესამე მხარის უფლებებზე. მას არ წარმოუშვია უფლებები ან ვალდებულებები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენებოდა ეროვნულ კანონმდებლობაში. გარდა ამისა, მას არ გაუცხადებია დამატებითი შენობების ზუსტი ადგილმდებარეობა. უპირველეს ყოვლისა, შეთანხმება წინ არ უსწრებდა გეგმიური გაფართოებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების გადაცემას. თუ ამ საკითხზე მეგობრული შეთანხმება არ მოხდებოდა, მიწის გადაცემა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ზოგადი კანონის შესაბამისად, ექსპროპრიაციის წარმოების გზით.

მეორეც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეიძლება ითქვას, რომ Conseil d'Etat-ის სამართალწარმოების შედეგს ჰქონდა პირდაპირი გავლენა მომჩივანი კომპანიების საკუთრების უფლებაზე, საქმის უპირატესას საჯაროსამართლებრივი ასპექტები გამორიცხავდა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენების შესაძლებლობას. თავისი წარმოშობისა და ბუნებიდან გამომდინარე, გასაჩივრებული დადგენილება საჯარო სამართლის სფეროს მიეკუთვნებოდა. საფრანგეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემდეგ, მისი მიზანი იყო საერთაშორისო შეთანხმების გამოქვეყნება; ასეთი გადაწყვეტილება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვასთან, რომელიც აშკარად შედიოდა სახელმწიფოს სუვერენული უფლებამოსილების სფეროში. მეორე მხრივ, სამოქალაქო სამართლის ასპექტებისთვის მინიჭებული წონა იყო უმნიშვნელო, რადგან არც განსახილველი შეთანხმება და არც მომჩივანი კომპანიების წარდგინებები Conseil d'Etat-ში, არ ეხებოდა მათ სამოქალაქო უფლებებს, ხოლო დავას მათ მიმართ არ მოჰყოლია რაიმე მატერიალური შედეგი.

8. მომჩივანმა კომპანიებმა საპასუხოდ განაცხადეს, რომ მთავრობის მსჯელობა ეფუძნებოდა მათი მდგომარეობის აბსტრაქტულ შეფასებას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დავა Conseil d'Etat-ის წინაშე, პრაქტიკული თვალსაზრისით, პირდაპირ გავლენას ახდენდა მათ ფინანსურ მდგომარეობაზე. მათ აღნიშნეს, რომ ბლოკაიშის საქალაქო საბჭომ მათ დაავალა სპეციალური დაგეგმარების ზონის (ZAC) შემუშავება ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის სიახლოვეს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რამდენიმე ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომელიც შექმნილია ამ პროექტის




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

შეფერხებისთვის, გაუქმდა სტრასბურგის ადმინისტრაციული სასამართლოს 1995 წლის 27 ოქტომბერს გადაწყვეტილებით, ზუსტად იმიტომ, რომ დაირღვა 1949 წლის 4 ივლისის ბერნის ხელშეკრულება. საფრანგეთისა და შვეიცარიის მთავრობებმა შეიტანეს ცვლილებები ხელშეკრულებაში სადავო შეთანხმების მეშვეობით, მხოლოდ იმისთვის, რომ დაეშვათ ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის გაფართოება და ამით ჩაშალეს ZAC-ის პროექტი. მომჩივანი კომპანიების მატერიალურ უფლებებზე კერძოდ, მათ საკუთრების უფლებაზე პირდაპირ იმოქმედა ბერნის ხელშეკრულების ამ შესწორებამ და შესაბამისად, დავის საგანს კერძოდ, იყო თუ არა საფრანგეთი-შვეიცარიის შეთანხმება კანონიერი – პირდაპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მომჩივანი კომპანიების სამოქალაქო უფლებებთან მიმართებით. გარდა ამისა, ეს დადასტურდა იმით, რომ Conseil d'Etat-მა აღიარა, რომ მათ ჰქონდათ სამართლებრივი ინტერესი, რაც მათ უფლებას აძლევდა მონაწილეობა მიეღოთ სამართალწარმოებაში.

ამასთან, ეხებოდა თუ არა დავა ძირითადად, საჯარო სამართლის საკითხებს, მომჩივანმა კომპანიებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში გამოყენებული კლასიფიკაცია ნაკლებად აქტუალური იყო. მათ დაამატეს, რომ წინამდებარე საქმეში განსახილველი საერთაშორისო შეთანხმება ტექნიკური ხასიათის იყო (მან შეცვალა ბერნის ხელშეკრულებაში დართული პირობები, რათა აეროპორტის დირექტორთა საბჭოს მისცემოდა საშუალება გაეფართოებინა აეროპორტის შენობა 1949 წლის ხელშეკრულებაში თავდაპირველად დადგენილ საზღვრებს მიღმა). იგი იყო ხელშეკრულების მსგავსი და მისი მიზანი თავისი ბუნებით, არ ეხებოდა საჯარო სამართლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას.

9. სასამართლო იმეორებს, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პარაგრაფის „სამოქალაქო“ ნაწილი გამოყენებადად რომ ჩაითვალოს, უნდა არსებობდეს დავა „სამოქალაქო უფლებაზე“, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ სულ მცირე, საცილო საფუძვლებზე უნდა იყოს აღიარებული ეროვნული კანონმდებლობით. დავა უნდა იყოს ნამდვილი და სერიოზული; ის შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ უფლების რეალურ არსებობას, არამედ მის ფარგლებსა და განხორციელების წესს. სამართალწარმოების შედეგი პირდაპირ გადამწყვეტი უნდა იყოს მოცემული უფლებისთვის, უბრალო წვრილმანი კავშირები ან შორეული შედეგები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამოქმედდეს მე-6




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მუხლის 1-ელი პარაგრაფი (იხ.: მათ შორის, შემდეგი გადაწყვეტილებები: *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981 წლის 23 ივნისი, Series A, №43, გვ. 56; *Fayed v. the United Kingdom*, 21 სექტემბერი 1994, Series A no. 294-B, pp. 45-46, § 56; *Masson and Van Zon v. the Netherlands*, 1995 წლის 28 სექტემბერი, Series A No. გვ. 1357, § 32; და *Athanassoglou and Others v. Switzerland* [დიდი პალატა], No. 27644/95, ECHR 2000 - IV, § 43; აგრეთვე, *Syndicat des médecins exerçant en établissement privée and Other d'Als. განჩინება*), No44051/98, 2000 წლის 31 აგვისტო).

წინამდებარე საქმეში განხილული სამართალწარმოება დაიწყო საფრანგეთის პრეზიდენტის 1996 წლის 13 მაისის ბრძანებულების გაუქმების მიზნით, რომელიც გამოქვეყნდა საფრანგეთის მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების გამოქვეყნების მიზნით, რომელმაც შეცვალა 1949 წლის 4 ივლისის ფრანკო-შვეიცარიის ხელშეკრულებაში დამატებული სპეციფიკა და ნება დართო ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის მაქსიმალური ზედაპირის ფართობის გაზრდას, რათა მესამე ასაფრენი ბილიკი აეშენებინათ. საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის ნოტების გაცვლისას ასევე დაზუსტდა, რომ აღნიშნული პროექტები განხორციელდებოდა მხოლოდ იმ პირობით თუ საჭირო თანხები უზრუნველყოფილი იქნებოდა აეროპორტის მიერ, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, იგი ორმა სახელმწიფომ დააარსა 1949 წელს, არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სარგებლობს იურიდიული ავტონომიით საფრანგეთისა და შვეიცარიის მთავრობების მიმართ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი კომპანიების მიერ წამოყენებული დავა Conseil d'Etat-ში იყო „ნამდვილი და სერიოზული:“ პირველ ყოვლისა, Conseil d'Etat-მა განიხილა მომჩივანი კომპანიების მიერ წამოყენებული ერთ-ერთი საჩივრის არსებითი მხარე (იხ.: Balmer-Schafroth, ციტირებული ზემოთ, გვ. 1359, § 38) და მეორე, მათი სხვა არგუმენტები (შესაბამისი იყო თუ არა სადავო შეთანხმება 1949 წლის 4 ივლისის საფრანგეთი-შვეიცარიის ხელშეკრულებასთან) არ ჩანს. ისინი აშკარად დაუსაბუთებელი იყო, თუმცა, Conseil d'Etat-მა მიიჩნია, რომ სამართლებრივი მიზეზების გამო, არ იყო საჭირო მათი არსებითად განხილვა.

ასევე მართალია, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, განსახილველი შეთანხმება და ბრძანებულება აფერხებდა ბაზელ-მულჰაუსის აეროპორტის მიმდებარე



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ტერიტორიაზე დაგეგმილ განვითარებას, პროექტს, რომელშიც მომჩივანმა კომპანიებმა ჩადეს შრომა და სახსრები. შესაბამისად, დავის შედეგს შეეძლო გავლენა მოეხდინა მათ ფულად მდგომარეობასა და ეკონომიკურ საქმიანობაზე, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ აეროპორტმა გამოყო საჭირო თანხები და მიიღო ისეთი სამართლებრივი ზომები, რომლებსაც შეეძლოთ ასეთი ზემოქმედების მოტანა.

თუმცა, სამართალწარმოება არ არის „სამოქალაქო“ მხოლოდ იმიტომ, რომ მას აქვს ეკონომიკური გავლენა (იხ.: მაგალითად, *mutatis mutandis*, *Schouten and Meldrum v. Netherlands*, გადაწყვეტილება 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A No. 304, გვ. 20-21. § 50 და *Pierre-Bloch v. France*, 1997 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1997-VI, გვ. 2223, § 51). თავად ქმედება მაინც უნდა იყოს „მატერიალური“ ბუნების და დაფუძნებული უფლებების სავარაუდო დარღვევაზე, რომლებიც ასევე, მატერიალური უფლებებია (იხ.: *Procola v. Luxembourg*, 1995 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, Series A No. 326, გვ. 14-15. § 38). პირველ რიგში, განსახილველი შეთანხმება და დადგენილება არ ეხებოდა მომჩივანი კომპანიების ეკონომიკურ საქმიანობას ან მათი უფლებების რეგულირებას და არ გააჩნდა მათ პოზიციაზე „პირდაპირი სამართლებრივი გავლენა;“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შედეგი, რომელიც მათმა საჩივარმა გამოიღო და რომელიც აპროტესტებდა დადგენილებას, რომლითაც გამოქვეყნდა შეთანხმება საფრანგეთის მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის, არ იყო „პირდაპირი გადამწყვეტი“ მოცემული უფლებებისთვის (იხ.: *Syndicat des medecins exerçant en établissement privé d'Alsace and Others* (განჩინება), ციტირებული ზემოთ და განასხვავეთ *Garcia v. France* (განჩინება), No. 41001/98, 1 თებერვალი 2000 წ.) მეორე, მომჩივანი კომპანიების მიერ *Conseil d'Etat*-ში დაწყებული სამართალწარმოება ისახავდა ბრძანებულების გაუქმების ერთპიროვნულ მიზანს და ამ სასამართლოში არგუმენტი შემოიფარგლებოდა ბრძანებულების აბსტრაქტული კანონიერებით. მაშასადამე, სარჩელი არ იყო მატერიალური ხასიათის და არ იყო დაფუძნებული მატერიალური უფლებების სავარაუდო დარღვევაზე.

სასამართლო შესაბამისად ასკვნის, რომ მოცემულ საქმეში დავა არ ეხებოდა მომჩივანი კომპანიების „სამოქალაქო უფლებების“ განსაზღვრას და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი შესაბამისად, არ გამოიყენება.



ამგვარად, მთავრობის პროტესტი უნდა იყოს დაშვებული და საჩივრის ეს ნაწილი უარყოფილი უნდა იყოს 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, როგორც *ratione materiae* შეუთავსებელი კონვენციის დებულებებთან.


ბ. 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი

10. მომჩივანი კომპანიები დავობდნენ, რომ უკანონო ჩარევა განხორციელდა საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში. მათ განაცხადეს, რომ საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის 1996 წლის 29 და 12 თებერვალს გაფორმებული შეთანხმება და 1996 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის კონსტიტუციის 53-ე მუხლს. ამასთან, აღნიშნეს, რომ მოცემული შეთანხმება ეწინააღმდეგებოდა კონვენციას (კერძოდ, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს), რადგან *Conseil d'Etat*-ის განმარტებით, იწვევდა კონვენციიდან გადახვევას. საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოებს, რომლებიც იყვნენ მრავალმხრივი ხელშეკრულების მხარეები, არ ჰქონდათ უფლება გადაეხვიათ ხელშეკრულებიდან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. მომჩივნები დაეყრდნენ 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს, რომლის შინაარსიც ასეთია:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

11. ევროსასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლიდან მომდინარე პირველი და უმთავრესი ვალდებულებაა, საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ფორმით ჩარევა იყოს კანონიერი. ეს დებულება დაირღვევა თუ სადავო ჩარევა „ამგვარად არღვევს ეროვნულ კანონმდებლობას“ (იხ.: *Iatridis v. Greece* [GC], no. 31107/96, § 58, ECHR 1999-II).




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს ხელშეკრულების მოქმედებას, აღნიშნული არ წარმოადგენს საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში „ჩარევას“, რაც იქნებოდა ეროვნული კანონმდებლობის ან საერთაშორისო სამართლის „აშკარა დარღვევა“, რადგან შეთანხმება დადებული იყო ორ სახელმწიფოს შორის, ნოტების ურთიერთგაცვლის სახით, რამაც ჩაანაცვლა 1949 წლიდან მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულება. ამდენად, ვერ დადგინდა, რომ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდებოდა კონვენციიდან „გადახვევა“. ამასთან, ვერ დადგინდა, რომ სავარაუდო ჩარევა „თვითნებური“ იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ეს ნაწილი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

გ. კონვენციის მე-14, მე-6 და 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლების საფუძველზე წარდგენილი საჩივარი

12. მომჩივანი კომპანიები დავობდნენ, რომ დაექვემდებარნენ დისკრიმინაციას კონვენციის მე-6 და 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის დროს. მომჩივნების განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ მათზე გავრცელდა აღნიშნული შეთანხმება, მათ დაკარგეს ყველა ის სარგებელი, რომელსაც ფრანგული კანონმდებლობა ანიჭებდა ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს მსგავსი ინფრასტრუქტურის მშენებლობის განხორციელების დროს. მომჩივნები დაეყრდნენ კონვენციის მე-14 მუხლს. მე-14 მუხლის თანახმად, „ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.“ ევროსასამართლოს თანახმად, მე-14 მუხლი ავსებს კონვენციის და მისი დამატებითი ოქმების დებულებებს. აღნიშნული მუხლი დამოუკიდებლად არ არსებობს, რადგან მოქმედებს მხოლოდ „იმ უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობასთან“ მიმართებით, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამის დებულებებში. მე-14 მუხლის გამოყენება



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

არ მოიაზრებს ამ დებულებების დარღვევას, რადგან ის ავტონომიურია და მისი გამოყენება არ მოხდება, ვიდრე ფაქტობრივი გარემოებები არ მოექცევა რომელიმე დებულების მოქმედების ფარგლებში (*სხვებთან ერთად იხ.: Karlheinz Schmidt v. Germany, judgment of 18 July 1994, Series A no. 291-B, p. 32, § 22*). მოცემულ საქმეში, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მე-6 მუხლი არ იყო გამოყენებადი და არ მომხდარა 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა. ამასთან, მიიჩნია, რომ მე-14 მუხლის გამოყენება ვერ მოხდებოდა ზემოაღნიშნულ მუხლებთან ერთობლიობაში.

ევროსასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-14 მუხლი ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ ინდივიდებს იცავს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისგან, მათ მიერ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის დროს (იხ.: *Van der Mussele v. Belgium, judgment of 23 November 1983, Series A no. 70, pp. 22-23, § 46*). ამ თვალსაზრისით, მაშინ, როდესაც აეროპორტის გაფართოების გეგმის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს ეროვნული კანონმდებლობა წარმოადგენს, ადმინისტრაციული სასამართლოები უფლებამოსილები არიან განიხილონ ის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომელსაც ეფუძნება გაფართოების შესახებ წინადადება. მომჩივანმა კომპანიებმა ვერ შეძლეს წარმოეჩინათ, რომ *Conseil d'Etat* განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებდა, თუ იგივე საჩივარი ბაზელ-მულჰაუსის (Basle-Mulhouse Airport) აეროპორტის გაფართოებასთან დაკავშირებით წარდგენილი იქნებოდა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი მომჩივნების მიერ.

ევროსასამართლომ საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნია და მიუღებლად ცნო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ ხმათა უმრავლესობით საჩივარი დაუშვებლად ცნო.